პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1975
სამშაბათი
20
მაისი
№ 117
(16243)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

## დამსვენებელი და კურორტი

საკურორტო სეზონისათვის მზადება ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვანი საზრუნავია ჩვენში, რადგან საქართველოს შავიზღვისპირეთი, მაღალმთიანი გამაჯანსაღებელი ადგილები, სამკურნალო დაწესებულებები, ყოველწლიურად ასეულო ათასობით დამსვენებელს იზიდავს საბჭოთა ქვეყნის უველა კუთხიდან. ეს, რა თქმა უნდა, გასაგები, საქართველო ბომ კურორტების მხარეა.

ცხადია, ზაფხულის მოახლოება საკურორტო სეზონისათვის დიდი სამზადისის პერიოდია. ამ დროიდან ჩვენი სახალხო მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების მშრომელები, დოვლათის შემქმნელი ადამიანები სარგებლობენ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით, მასობრივად მიდიან შვებულებებში, მიეშურებიან დასასვენებლად, გონებრივი და ფიზიკური ენერგიის აღსადგენად.

წლეულს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციები უდავოდ თადარიგიანად, დროულად შეუდგნენ საკურორტო სეზონისათვის მზადებას. ეს სამზადისი მიმდინარეობს იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც ვრცლად არის მოცემული საკურორტო სეზონისათვის მზადების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს შარშან მიღებულ ერთობლივ დადგენილებაში.

ამ მნიშვნელოვანი დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მაინც ხერხოზულია ის ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არის დამსვენებელთა მომსახურების საქმეში. ამაზე ვრცელი და უაღრესად საქმიანი მსჯელობა გაიმართა ამას წინათ სოხუმში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც კურორტების 1975 წლის ზაფხულის სეზონისათვის მზადების საკითხებს მიეძღვნა. თათბირზე მიღწეულთან ერთად აღინიშნა კურორტების მუშაობაში არსებული ხერხოზული ნაკლოვანებები, დაისახა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები და საშუალებები.

უდავოდ ცხადია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, ტურისტულ ბაზებსა და მასობრივი დასვენების სხვა დაწესებულებებში ჯერ კიდევ ბევრია მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტი. საგრძნობია სამედიცინო კადრების სიმცირე, ხარვეზებია კურორტების მოსტნეულით, ხილითა და რძის პროდუქტებით მომარაგებაში, მოუქნელად მუშაობენ საზოგადოებრივი კვების ობიექტები, აგრეთვე მაღაზიები, რომლებიც სამრეწველო საქონლით ვაჭრობენ.

თუმცა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა საყოფაცხოვრებო ობიექტებმა, ზოგიერთ გამაჯანსაღებელ კერაში ამ მხრივ მაინც ხერხოზული ნაკლოვანებები შეიმჩნევა. მაგალითად, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა კურორტზე (აგუძერა, გუდაუთა, მენჯი, ჯავა, ხურამი, ციხისძირი და სხვ.). ჯერ კიდევ არ ხერხდება ტანსაცმლის ქიმწმენდა, არ მუშაობს სამრეცხაოები, ხარემონტო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები.

განსაკუთრებით ზრუნვაა საჭირო და პრაქტიკული საქმეებია მოსაგვარებელი იმ დამსვენებელთა დასახმარებლად და მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, რომლებიც არაორგანიზებულად ჩამოდიან კურორტებზე, დაჭირავებულ ბინებში ცხოვრობენ და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში იღებენ ყოველდღიურ ულუფას.

საქმე ის არის, რომ ყველგან გამართულად უნდა მუშაობდეს სასაუზმეები, კაფეები, დიეტური სასადილოები, კვების ისეთი საწარმოები, სადაც დამსვენებელი კიდევ ისაუზმებს, კიდეც ისადილებს და დიდხანს რიგში დგომაც არ მოუწევს.

დამსვენებელთა სავაჭრო მომსახურების საქმეში შარშან მუშაობის კარგი მაგალითი გვიჩვენეს კურორტ გაგრის მუშაკებმა, რომლებმაც პლაჟებზე, უშუალოდ დამსვენებელთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში დატარებითი ვაჭრობა მოაწყეს. ასეთი მუშაობა გავრცელებისა და განვითარების ღირსია. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ადამიანებს დატარებითი ვაჭრობით მივაწოდოთ კვების პროდუქტები, განსაკუთრებით რძის ნაწარმი, პირველი მოთხოვნილების საგნები.

ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა შარშან თბილისის გარშემო არსებული კურორტებისა და დასასვენებელი ადგილების მუშაობაზე. განსაკუთრებთან გამართულად ვერ მუშაობდა ხაზოგადოებრივი კვების ობიექტები და მომსახურების ხფეროს სხვა უბნები. ეს ჩვენს გაზეთშიც მკაცრად და სამართლიანად დაიწერა. ქალაქის სათანადო ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ შეასრულონ პირობა, მიცემული სიტყვა. ისინი ხომ თბილისისა და რუსთავის მშრომელებს დაპირდნენ ხარვეზების გამოსწორებას.

ერთი სიტყვით, დიდი და სერიოზული ამოცანები დგას საკურორტო ზონის რაიონებისა და ქალაქების პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ეფექტიანი მუშაობა უნდა გავაჩაღოთ ყველა იმ აუცილებლად მოსაგვარებელი ამოცანის გადასაწყვეტად, რომლებიც კურორტებზე მშრომელთა მომსახურების საქმეს ეხება, საკითხია სიხტემატურად მოეწყოს მასობრივი რეიდები, შემოწმებები, განვიხილავდეთ საკითხებს პარტიულ კომიტეტებში, პროფკავშირულ, სამეურნეო ორგანიზაციებში და საქმიანად ვზრუნავდეთ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელად შესრულებისათვის. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმისათვის, რომ სრულყოფილად მოგვარდეს დამსვენებელთა მომსახურების ხფეროების ყველა უბნის, რგოლის გამართული მუშაობა. არ უნდა გამოჩნდეს არც ერთი ნვრილმანი ადგილი, რადგან მცირეოდენი ნაკლოვანებაც კი დამსვენებელთა მასობრივი მოსვლის პერიოდში უაღრესად ხელშემშლელი, რთულ მდგომარეობად, დამაბრკოლებელ პირობად გადაიქცევა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საკურორტო ზონის ქალაქებისა და რაიონების სანტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ყველგან და ყველაფერში სისუფთავისა და ესთეტიკის დამყარება. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ საბჭოების აღმასკომებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, დეპუტატებს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მომსახურების ფეროს უბნების კეთილსინდისიერი, წესიერი, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანებით დაკომპლექტებას, რადგან კადრები წყვეტენ ყველა საკითხს, რომლებიც დამსვენებელთა მომსახურებას ეხება. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ ახალგაზრდები, განსაკუთრებით ქალები, რომელთა გულთბილი, გულითადი, ყურადღებიანი, ადამიანური დამოკიდებულება, ეგზიზელი მშრომელ ადამიანებს, წლის მანძილზე შემოქმედებითი შრომით დაღლილებს, შეუქმნის ნამდვილი დასვენების პირობებს, ხიმყუდროვეს და სახიამოვნო გარემოს.

საკურორტო ზონის რაიონებისა და ქალაქების პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, ადმინისტრაციულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სამინისტროებმა, საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ, აგრეთვე სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა ყველა ღონე, ყველა საშუალება უნდა იხმარონ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ თავიანთი მოვალეობა კურორტებისადმი დახმარების, ხელმძღვანელობისა და დამსვენებელთა კეთილი მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ჩვენი მშრომელები, დოვლათის შემქმნელი ადამიანები დასვენების შემდეგ ახალი ძალით, ენერგიით, ჯანსაღი განწყობილებით, შემოქმედებითი აღმავლობით შეუდგნენ პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის შრომახა და ბრძოლას.

## დიდრსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

### ველოსიპედისტა — ველოსიპედი

**თბილისი.** („კომუნისტის“ კორ. ზ. ჯამასპიშვილი). ფაბრიკა „საქტრიოტაჟის“ (დირექტორი ლ. კოსტავა) კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს ხუთწლედის დამამთავრებელ წლის და ღირსეული წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ გეგმის გადამეტებით ნაოსრი 200 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციის გამოშვების საქმეში. მეტრიოტაჟეებმა განელილ ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით 84 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, წლიური ვალდებულება კი 100 ათას მანეთს ითვალისწინებდა. აქ გადახდეს ოთხი თვის შედეგებს, გადაწყვეტეს წლიური ვალდებულება ხუთ თვეში შესრულონ და სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრონ.

საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა 107 პროცენტით შესრულა, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 102 პროცენტით. გეგმის გადამეტებით განელილ პერიოდში რეალიზებულია 168 ათასი მანეთის ნაწარმი. პროდუქციის მოელი მ


ტება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე.

სოციალისტური შრომის ავანგარდში კელკ მ. სამადაშვილისა და ზ. კირაკოსიანის ბრიგადები არიან. ამ შრომითმა კოლექტივებმა შარშანდელი მიჩვენებლების მიხედვით გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირველი ადგილი დაიკავეს.

### მოწინააღმეთა სამეული

**თბილისი.** („კომუნისტის“ კორ. რ. ჭელიძე). საქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სამკედლო, ელექტროსამანქანო და საფრიკე საამქროების კოლექტივები, რომლებსაც დ. ჯიქია, ჯ. ერაძე და პ. ბატონისაშვილი ხელმძღვანელობენ — ასეთია თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებს შორის გაშლილი შეჯიბრების შედეგები განვლილი ოთხი თვის მანძილზე.

ქარხნის კოლექტივმა ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 80 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა 109 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაცია.

### ოცი პროცენტით მეტი...

**ცხინვალი.** (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). ჩაის პლანტაციებში ეფექტიანად ეფექტიანად მუშაობენ ბრიგადიერები მუშაობენ დეკემბერი: 15 ივნისისათვის. მიერკოვკასიის რკინიგზის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ტვირთის გაგზავნის გეგმა, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა კი ტვირთძიელი სეზონის და კოტიანეთის საბჭოთა მეურნეობები.

სოფელ ზანის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავჯდომარე ალ. ვეფსალია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი) მეჩაიეები წლეულ რაიონში ყველა მეურნეობაზე მეტ ჩაის — 1.262 ტონას მოიკრეფენ.

სკკპ XXV ყრილობისათვის შრომითის ნობათებს ამზადებენ აგრეთვე ფოცხოელი მეჩაიეები, რომელთა შორის გამორჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა ნოდია. იგი თვითეულ სამუშაო დღეში 200 კილოგრამზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ყოველდღიურად იზრდება კრეფის ტემპი.

### ბოლნისური საადრეო კარტოფილი

ბოლნისის რაიონის მეურნეობებში დაიწყო საადრეო კარტოფილის მოსავლის აღება. თბილისში 19 მაისს ჩამოვიდა ალმანეთი, ტრანსპორტანტებით მორთული სატვირთო ავტომობილები. ბოლნისელებმა რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს 10 ტონა საადრეო კარტოფილი ჩამოუტანეს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ წლეგანდელი წელი განსაკუთრებულია რაიონის მეკარტოფილეებისათვის. მათ იკისრეს ვალდებულება ყველა წელთან შედარებით ყველაზე უხვი მოსავალი — 25 ათასი ტონა კარტოფილი მოიწიონ — 5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

დასასრულ მიჯნების მისაღწევად პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგეთ, — თქვა რ. გიორგაძემ. — ეს კულტურა დათესილია დაახლოებით ორი ათას ჰექტარზე, რაც შარშანდელს აღემატება. კარტოფილის თესვა ყველგან საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დავამთავრეთ, ნიადაგი გავანყობიერეთ ორგანულ-მინერალური სასუქების სრული დოზით.

ბოლნისელები ცდილობენ მოსავლიანობა გაზარდონ ჰექტარის ნაყოფიერების გადიდებით. (საქინფორმი).

ბუბუნებენ სართავი მანქანები. შემინული ჭერიდან შემოკრილ მზის სხივებზე ათასნაირად ელავს ძაფის ქსელები, თითისტარებზე, ციბრუტივით რომ ტრიალებენ, ეხვევა უმაღლესი ხარისხის ნართი. ამ მანქანებს შორის დადის სახენაოელი ქალი, რომელსაც მკერდზე გმირის ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავს. ეს სახელოვანი მრთველი, ნოვატორი ქვეოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილია.

— ვერა ქემაშვილის შრომითი მეთოდები, მისი გამოცდილება საყოველთაო ხაკუთრებაა, — ამბობს კომბინატის კომკავლური წარმოების უფროსი ვ. ბაბუნაშვილი, — იგი მუდამ ახალგაზრდებში ტრიალებს, ბრიგადაშიც უმეტესობა ახლადპროფტექნიკუმდამთავრებული გოგონები მყავს. ბრიგადის 9 მრთველი და 7 მომხსნელი დამკვრელურად შრომობს. მათ ხუთწლედის ბოლო სამ წელიწადში ვეგმის გადამეტებით გამოუშვეს 24 ტონა ნართი. ნოვატორი მრთველი, სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. იგი კომბინატის პარტიულ კომიტეტის წევრი და საწარმოს ერთ-ერთი აქტიური აგიტატორია, არჩეულია ხალაქალაქო საბჭოს დეპუტატად.

კოლექტივმა ვერა ქემაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა, იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

სურათზე: ვერა ქემაშვილი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### ა. ა. გრომიკო ვენაში გაემგზავრა

**სოფია** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 19 მაისს ვენაში გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან შესახვედრად.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად შეხვედრის დროს ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

აეროდრომზე ა. ა. გრომიკო გაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 19 მაისს ვენაში ჩავიდა.

ეროდრომზე მას დახვდნენ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ბ. კრაისკი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკ. ფსი).

### შეხვედრა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოში

**19 მაისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმა მიიღო ამერიკის შტატების გუბერნატორთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებს. მ. ს. სოლომენცევმა სტუმრებს გააცნო ქვეყნის სახელმწიფო წყობა და სამეურნეო მშენებლობა.

საუბარს, რომელმაც შეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. კოჩემასოვი, რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა მინისტრი თ. ვ. ტიტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ი. ნ. ჩერნიაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკ. ფსი).

### სპეციალური ვიზიტი

**1974 წლის** ივნისში გეტებორგში საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის ვიზიტის პასუხად 22-26 მაისს ტალინს ეწვევა შვეიცის სამხედრო ხომალდების რაზმი, — საესკადრო ნაღმოსნები „ჰალანდი“, „ესტერგეტლანდი“, „გესტრიკლანდი“ შვეიცის სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო ფლოტის სარდლის ყონტრ-ადმირალ ს. კ. კირკეგორდის ალმით.

### ფ. ნასარს ორდენი გადაეცა

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დამსახურებისათვის, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობის განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების მე-60 წლისთავის გამო ეორდენის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ფუად ნასარი დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.

19 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინ ამხანაგ ფუად ნასარს სპატიო ჯილდო გადაუცა.

ხალხთა მეგობრობის ორდენით თქვენი დაჯილდოება, აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნინმ, გამოხატავს საბჭოთა კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის ღრმა სიმპათიებს მოძმე იორდანიის კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც დემოკრატიული ძალების რიგებში ძნელ, მაგრამ სახელოვან ბრძოლას ეწევა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და აყვავებისათვის, თანამიდგეარობ ი ი ა ც ივს მშრომელთა სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებს. იგი აქტიურად იცავს პალესტინის არაბი ხალხის სამართლიან საქმეს.

ნ. ვ. პოდგორნინ ფუად ნასარს მიულოცა დიდი ჯილდო, უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი წარმატებები მშრომელთა საქმისათვის ბრძოლაში!

— დიდად ვაფასებ ამ ჯილდოს, — თქვა საპასუხო სიტყვაში ფუად ნასარმა, — და ვფიქრობ, რომ იგი განკუთვნილია, არა მარტო პირადად ჩემთვის, არამედ იორდანიის ყველა კომუნისტისათვისაც.

არაბი ხალხებისა და თქვენი დიადი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის განმტკიცება ყოველთვის შეესაბამებოდა არაბ ხალხთა ინტერესებს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათ ვ ი ს, მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის საქმის ინტერესებისათვის ბრძოლაში. (საკ. ფსი).

### თათბირ-სემინარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პარტიულ კომისიათა თავმჯდომარეებისა და ორგანიზაციულ განყოფილებათა გამგეების თათბირ-სემინარი. განიხილეს საკითხები: მუშაობის მინდობილი უბნისათვის თვითეული კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, მზადება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

თათბირზე ამ საკითხების გამო გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. დ. ვ. გელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. შ. ვ. ყარყარაშვილი.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. ე. კეთილაძემ.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

თათბირზე მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

### საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

## ვიშრომოთ დაჩქარებული ტემპით

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც შეაჯამეს მიმდინარე წლის აპრილსა და ოთხ თვეში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების მუშაობის შედეგები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

საქართველოს მშრომელებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებების, ნაკისრი ვალდებულებებისა და შემჩვედრი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ახალი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სამრეწველო საწარმოებმა ვადამდე, 28 აპრილს, შეასრულეს ოთხი თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 62,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. მათ შორის თოჯინ, ფოლადი, ნაგლინი, მანგანუმის მადანი, ქვანახშირი, სატვირთო ავტომობილები, მინერალური სასუქები, ცემენტი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმი.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში მიღწეულია ახალი მიჯნები. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 10,7 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა — 8,7 პროცენტი, ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 80 პროცენტზე მეტი.

მრეწველობის მშრომელთა წარმატებებში მნიშვნ ე ლ ო ვ ა ნ ი წვლილი შეიტანეს ტრანსპორტის მუშაკებმა. . ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ტვირთის გაგზავნის გეგმა, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა კი ტვირთბიდისა და ტვირთბრუნვის დაგეგმენი.

მაგრამ, აღინიშნა თათბირზე, არ შეიძლება დაკმაყოფილდეთ მიღწეულ. მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, არ არის ამოქმედებული ყველა რეზერვი, ხოლო აღებული ტემპი ვერ უზრუნველყოფს მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილი სამრეწველო წარმოების დონის მიღწევას.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. თუ პირველ კვარტალში მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შესრულა 72 საწარმომ, ოთხი თვის გეგმა ვერ შეასრულა 95 საწარმომ, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 14,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. ყველაზე მეტი საწარმო ვერ ასრულებს დავალებებს ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში. ჩამორჩენილთა შორის არის საკავშირო დაქვემდებარების 13 საწარმო, მათ შორის საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმა, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა, ბესლანის ამწეთსაშენებელი ქარხანა, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხანა და სხვ. 92-დან 118-მდე გაიზარდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გეგმა. ოთხ თვეში ჩამორჩენილმა საწარმოებმა ვერ გაასპოეს 14,9 მილიონი მანეთის ნაწარმი. ამ მაჩვენებლის შესრულებაში ჩამორჩენიან ადგილობრივი მრეწველობის 19, საშენმასალათა მრეწველობის 14, კვების მრეწველობის 13 საწარმო, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოები: მეორეული ფერადი ლითონების სამმართველო, კვიანის ტყვია-თუთიის მაღაროთასამმართველო, თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა, სოხუმის ხელსაწყოსაშენებელი ქარხანა და სხვ.

საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა იმის შედეგია, რომ სერიოზული ხარვეზები წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში, წარმოების სხვადასხვა რგოლში დაკარგეს პასუხისმგებ ლ ო ბ ის გრძნობა, დაბალ დონეზეა შრომისა და საწარმოო დისციპლინა. ამასთან ერთად ეს არის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში არსებული ნაკლოვანებების, მნიშვნელოვანი მოცულობის ნედლეულისა და მასალების მიუწოდებლობის შედეგი.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოთ ხუთწლედის დავალებანი. ხუთწლედის დაგეგმილ მიჯნებს მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეასრულეს სახელმწიფო გეგმასაც და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებასაც, რომ გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 200 მილიონი მანეთის პროდუქციას. ეს ძნელი ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება საკმაოდ შეიძლება იმ პირობით, თუ თვითეული კოლექტივი გულხრელად დაიჩქარებს მუშაობის ტემპს.

ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, ახალი მიჯნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობები იყო და კვლავაც არის მაღალი ორგანიზებულობა, მუშაობის მკაცრი რიტმი, შრომის ნაყოფიერების გადიდება ტექნიკური პროგრესისა და საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების ბაზაზე. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ეკონომიანი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრებისადმი, მართვის მეთოდების სრულყოფა. უამისოდ შეუძლებელია წარმოების ეფექტიანობის გადიდება, სახალხო მეურნეობის საჭიროებათა, მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება.

რესპუბლიკის საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად. ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად განვსაზღვროთ პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავი შრომითი ვახტის მიჯნები, უზრუნველყოთ ხუთწლედის დავალებათა უფროდ შესრულება, ბტიკეცი საძიებელი ჩავუყაროთ წარმატებულ მუშაობას მომდევნო პერიოდში.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ. ნ. გრიგალაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე მ. ს. ზოდელავა, „საქთვეგზრეწვის“ სამმართველოს უფროსი ლ. მ. ულება, საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი შ. ა. დოლიძე, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორი შ. ა. ჯაფარიძე, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათასაშენებელი ქარხნის დირექტორი ნ. მ. ყურშუბაძე, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი მ. შ. დოლიძე, კვიანის ტყვია-თუთიის მაღაროთასამმართველოს დირექტორი ო. ი. გასიევი, საქართველოს სსრ მთავარმომარაგების უფროსი მ. გ. კოდუა, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი გ. დ. ჟორჟიკაშვილი, ამერკავკასიის რკინიგზის უფროსი ვ. ი. ქადაგიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია.

თათბირის შედეგები შეაჯამა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია —გეგმის გადამეტებით!

120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება—ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ვიმუშაოთ რიტმულად. თვითეული დღე, საათი მოვაცხმაროთ ხუთწლედის შესრულებას

ხუთწლედის დამლევამდე 225 დღე დარჩა

# მეცხვარეობას — ინდუსტრიული საფუძველი

**სამრეწველო** საფუძველზე ამერკავკასიის მეცხვარეობის გადაყვანის, დარგის შემდგომი განვითარების პრობლემების განხილვას მიეძღვნა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მოაწყვეს საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამერკავკასიის რეგიონალურმა განყოფილებამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ზოოტექნიკურ-ეტერინარულმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. კონფერენცია 14-15 მაისს გაიმართა თბილისში. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ი. მ. ხოხლოვმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის და ამერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, საქართველოს, სომხეთის ახერბაიჯანის მეცხვარეობის მეურნეობათა ხელმძღვანელები. კონფერენციაზე დიდი და საყურადღებო სჯა-ბაასი გაიმართა საზოგადოებრივი მეცხვარეობის ეფექტანობის ამაღლების, ინდუსტრიულ საბაზაზე მისი გადაყვანის გზების შესახებ.

საქართველოს მეცხვარეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების ვზების შესახებ მოხსენება გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მეცხვარეობა, თქვა მომხსენებელმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთის რაიონების ეკონომიკაში. რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა ეფექტიანად გავუძღვეთ ამ დარგს და მივიღოთ შედარებით ნაკლები თვითღირებულების მატყლი და ცხვრის ხორცი. მაგრამ ცენტნერი ცხვრის ხორცის თვითღირებულება რესპუბლიკაში ჯერჯერობით ძალიან მაღალია.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია დაბეჯითებით აყენებს მატყლის, ცხვრის ხორცისა და ყველის წარმოების ორგანიზაციის ახალი, ეფექტიანი ფორმების შემუშავებისა და დანერგვის საკითხს. აქედან გამომდინარეობს მეცხვარეობის კომპლექსების ან მსხვილი მექანიზებული ფერმების შექმნის, მეურნეობებისა და რაიონების ზუსტი სპეციალიზაციის, წარმოების კონცენტრაციის ამოცანა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება, რომელშიც განსაზღვრულია მეათე ხუთწლედში მეცხვარეობის განვითარების მკაფიო პროგრამა. აღიბეჭდა დარგის კონცენტრაციის, შიდარაიონული და სარაიონთაშორისო სპეციალიზაციის კურსი. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგა თიანეთის, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში. იქ შეიქმნა მსხვილი საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, სადაც 20-30 ათასი ნერბი ჰყავთ. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა, რათა შეიქმნას მსხვილი მექანიზებული ფერმა-კომპლექსები, სადაც დაინერგება ორზონიანი მოვლა-შენახვა ალპური საძოვრების გამოყენებით.

ცალკეულ რაიონებში შეიქმნება სტაციონარული მეცხვარეობა საკუთარი კულტურული საძოვრებით. ამ კომპლექსებში მოაშენებენ ცხვრებს, რომელთა ნაკარსი 4,5-5 კილოგრამი მატყლი იქნება. საყურადღებო ინიციატივა გამოჩნდა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსგან, რომელმაც მოაწყო ათი ათასი ცხვრის სამრეწველო სუქება სიღნაღის რაიონში. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მომდინარე წელს ასი ათას სულამდე გაადიდონ ინტენსიური სუქებიდან მოხსნილი ბატკნების რიცხვი. ბოლო უნდა მოეღოს სახელმწიფოსათვის დაბალკონდიციური ცხვრის ჩაბარების პრაქტიკას, როცა ცხვრის ხორცის წარმოებას მოგვიანებით ზარალი მოაქვს მეურნეობებისათვის.

მეცხვარეობის პროდუქციის წარმოება უნდა იზრდებოდეს მატყლის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდების გზით — 2-2, 4-იდან 3-3,3 კილოგრამამდე ერთ ცხვარზე და ცხვრის ცოცხალი წონა 9-10 კილოგრამიდან უნდა გაიზარდოს 25-30 კილოგრამამდე. ჩვენი ცხვრის დღევანდელი ჯიშობრივი შემადგენლობისათვის რეალური პროდუქტიულობის ეს ზღვრე შეიძლება ამაღლდეს თუ კარგად იქნება ორგანიზებული სანაშენე მუშაობა და გაუმჯობესდება მეცხვარეობის ბაზრის საკვები ბაზა.

კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებებში ხაზგასმით აღინიშნა რომ სანაშენე ნქმეში წესრიგის დამყარება, აშიკად არსებული სულ სხვადასხვაგვარი ნაჯვარი ჯიშების გაუმჯობესება სელექციონერ მეცნიერთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საქმე ეხება თუშური ჯიშის ცხვრის აღდგენის პროცესის დაჩქარებასა და ადრეული სახორცე-სამატყლე ცხვრის ბაზის შექმნას რესპუბლიკაში მეცხვარეობის კომპლექსებში ბოსაშენებლად.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებას, კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნას, ფარის გადასარეკი ტრასების მოწყობას, მწყემსების შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მოგვარებას, სხვა აქტიურლური საკითხებს.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში მეცხვარეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივებზე ილაპარაკა აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. ა. აგაევმა.

სომხეთის სს რესპუბლიკაში მეცხვარეობის ინტენსიფიკაციისა და მისი ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ მოხსენება გაკეთა სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ მ. მ. მელქონიანმა. ინდუსტრიულ საფუძველზე საქართველოს მეცხვარეობის გადაყვანის ძირითადი დებულებანი იყო ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის თ. გ. ჯაფარიძის გამოსვლაში. ცხვრის მაღალი მთის საძოვრების გაუმჯობესების პროგრესული ტექნოლოგიის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ი. მ. ხოხლოვმა. დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს საბჭოთა კავშირის მეცხვარეობისა და მეთხეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ს. ზარიტოვსკის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ა. ა. რუხაიძის და ამერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მეცნიერთა მოხსენებანი. კონფერენციაზე განხილულ მოხსენებათა გამო მიღებულია რეკომენდაციები.

სამრეწველო საფუძველზე ამერკავკასიის მეცხვარეობის გადაყვანის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბ. გელდიაშვილი. (საინფორმაციო).

ბიბლიოთეკა

გამოსცა „მერანმა"

## წიგნი მიხეილ შოლოხოვზე

თენგიზ შუბაძე

„ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘ"

**დიდი** რუსი საბჭოთა მწერლის მიხეილ შოლოხოვის დაბადების 70-ე წლისთავის გამო გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა პროფესორ თენგიზ შუბაძის მონოგრაფია „მიხეილ შოლოხოვი". წიგნის შესავალში ნათქვამია:

„1925 წელს, ოცი წლის მიხეილ შოლოხოვმა დაიწყო თავისი გრანდიოზული ეპოპეის — „წყნარი დონის" წერა.

რამ გააბედვინა ან რამ შეაძლებინა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცს, ხელი მოეკიდა დიდტანიანი ნაწარმოებისათვის, რომელიც გამოქვეყნებისთანავე საბჭოთა მწერლობის კლასიკურ ნიმუშად იქცა და მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა?

რა გზა ჰქონდა გავლილი, რა პირობებში ჩამოყალიბდა შოლოხოვის მწერლური ნიჭი, რომელიც არნახული სისწრაფით გაუტოლდა ზეიმს საუკუნის საკვეყნოდ აღიარებულ ტალანტებს?

პასუხი ამ კითხვებზე თითქოს ადვილია, რადგან მის თანამედროვეთათვის კარგად არის ცნობილი შოლოხოვის ცხოვრების თითქმის ყველა გარეგნული ფაქტი და გარემოება, ყოფა, წრე, პროვინციული სწრაფვა და ხასიათი.

მაგრამ, სინამდვილეში, პასუხის გაცემა ამ კითხვებზე ძნელია იმდენად, რამდენადაც რთულია ჭეშმარიტად დიდ მწერლის შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბების საიდუმლოს ჩაწვდომა, იმ ფარული ფსიქოლოგიური შემოქმედებითი პროცესის შეცნობა, რომელიც მის სულში მისდა შეუმჩნეველადაც კი მიმდინარეობს.

მაინც ვცადოთ იმ გზის თვალწინ აღდგენა, რომელიც მიხეილ შოლოხოვმა როგორც ადამიანმა და როგორც შემოქმედმა განვლო".

წიგნის რედაქტორია გრ. აბაშიძე, მხატვარი — ე. ბურჭულაძე; ტირაჟი — 3.000, ფასი 30 კაპ.

ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲜᲐᲓᲘ, რომელიც ამ დღეებში ქარელის კულტურის სახლში გაიმართა, განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება ამავე საბჭოს მეშვიდე და მეცხრე სესიების გადაწყვეტილებები მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდა ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ბაბლიძე.

სესიაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. სოგოლევი, კავშირგაბმულობის მინისტრი ზ. ჩხეიძე, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. პაპაბაშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კ. ბუხრაძე, საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე შ. კახიძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. შარქოსაძე.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ნ. ბელაშვილმა, ს. ნოზაძემ, ბ. რევაზიშვილმა, მ. უმეკაშვილმა, მ. იოსებაშვილმა, ე. კულგინამ, ა. რამიშვილმა, ნ. გოჩაშვილმა, ბრეძის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა რ. ირემაძემ, ქარელის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. რამიშვილმა, ქარელის სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსმა შ. ბოგინაშვილმა, პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ბაღრაშვილმა.

# მომსახურებაც არის და მომსახურებაც

### რაისაბჭოს სესია მსჯელობს მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ

ნაომძამია, „კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო", აკი დადგა დრო და გამომზურდა, ფარდა აეხადა. უახლოეს წლებში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს!

ძნელია, მოკლე დრიმი აღმოიფხვრას ხარვეზები და ყველა სიმახინჯე, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე კვიდიდა. ამიტომაც, დღეს ჩვენი. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ყურადღება კვლავ მიმართულია საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღების პრობლემებისაკენ.

სადავო როდია, რომ ამ პრობლემებთან მჭიდრო, უშუალო კავშირშია სასაღლო მეურნეობის ყველა დარგი, განსაკუთრებით კი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება.

ვაჭრობის სრულყოფილი ორგანიზაციის, კადრებთან მუშაობის, მოსახლეობის კულტურული მომსახურების და მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებზე ქარელის რაიონში ჯერ კიდევ შარშან იმსჯელეს რაიონული საბჭოს მეშვიდე და მეცხრე სესიებზე.

სესიის შემდგომ პერიოდში, ვაჭრობის მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა. სავაჭრო ქსელში მოვიდნენ ახალგაზრდა მუშაკები, რომელთა უმრავლესობა ქალები არიან. შემცირდა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები, გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურების კულტურული დონე.

ასეთი მდგომარეობა რაიონის მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ სავაჭრო ობიექტებშია. დირბის, ფცის, გვერძნეთის, ურბნისის და მოხისის სასოფლო საბჭოებს არ გახსენებიათ, არ უმსჯელიათ როგორი მდგომარეობა იყო მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებულ სავაჭრო ობიექტებში.

ვაჭრობაში სასოფლო საბჭოების უსულგულო დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, კარგს არაფერს მოიტანდა.

წლეულს პირველ კვარტალში საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებამ რაიონში 101 პროცენტს გადაჭარბა. შემცირდა აგრეთვე ზენორმატიული ნაშთები, მაგრამ პირველი მარტისათვის იგი კვლავ 181 ათასი მანეთით გაიზარდა.

ზენორმატიული ნაშთების გაზრდაში დიდი დანაშაული თვით ქარელის რაიკოოპერატივს მიუძღვის. ამ საქმეში ცეკავშირის ეორის სარაიონთაშორისო საბითუმო სავაჭრო ბაზაც ცოდავს. გამოყოფილი ფონდების დასაქონლება ასორტიმენტში სისტემატიურად ეწარგვინელი განსხვავების აბსოლუტური იგნორირებით ხდება, ისინი კვლავ ძველებურად მუშაობენ. ესეც კარ იყოს, ასეთი ბაზის შექმნით რაიონში ვაჭრობის მდგომარეობა სრულებითაც არ გაუმჯობესებულა.

შეუფერებელი ბინების გამო ძნელდება საქონლის რეკლამირება, ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვა და უღირსი მუშაკის განთავისუფლება, რადგან ბევრგან გამყიდველებად თვითონ ბინის მფლობელები მუშაობენ და მათი გათავისუფლების შემდეგ სავაჭრო ობიექტიც საძებნელი ხდება (დაჭირავებული ბინებისათვის რაიკოოპერატივი ყოველწლიურად 15 ათას მანეთს იხდის), ხოლო სავაჭრო ობიექტები, რომლებიც კერძო მფლობელების საკუთრება არ არის, უკვე ინგრევა, რადგან მშენებლობის პროცესში კონტროლი არ დაუწესებიათ. თუ დირბის, ღვანის, ავლევის და სხვა სოფლების მაღაზიებს კაპიტალური რემონტი სასწრაფოდ არ ჩაუტარდებათ, ამ ობიექტების ექსპლოატაცია მოკლე დროში შეუძლებელი იქნება.

სამწუხარო მდგომარეობაა საზოგადებრივი კვების ქსელშიც. შარშან ამ გაერთიანებამ საქონელბრუნვის გეგმა 91,1 პროცენტით გაანაღდა, რაც იმით აიხსნება, რომ ობიექტები ცუდად მარაგდებიან.

აქვე აღინიშნა, რომ გეგმის შეუსრულებლობა საზკვების მუშაკების მოუქნელი მუშაობის ბრალიც არის. ისინი ნაკლებკალორიულ, ერთფეროვან და უგემურ კერძებს აშზადებენ, მინიმალურადაც კი არ იცავენ საერთო და პირად ჰიგიენას. ბევრ მათგანს საკმაო შემოწმებაც კი არ გაუვლია. ამ დიდ უხერხულობას ისიც ემატება, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მუშაობის მინიმალური პირობებიც კი არ არის შექმნილი. ცხელს ვინ ჩავის, ზოგან ცივი, გამდინარი წყალი ენატრებათ. აკლიათ, ან სულ არა აქვთ დანა-ჩანგალი, ჭურჭელი, დახლაცვრები, კარადა-მაცივრები და სხვა ინვენტარი.

უკანასკნელ სამ წელიწადში რაიონში საზოგადებრივი კვებისა და ვაჭრობის არცერთი ობიექტი არ აშენებულა, შესაბამის პერიოდში კი საცალო-საქონელბრუნვის გეგმა 18 პროცენტით გაიზარდა, თუმცა ობიექტების მოცულობა უცვლელი დარჩა.

საყოფაცხოვრებო მომსახურება, თუ ის კარგად არის დაყენებული, ადამიანებს უმსუბუქებს საოჯახო საზრუნავს, საშუალებას აძლევს უფრო რაციონალურად გამოიყენონ თავისუფალი დრო სწავლის, დასვენებისა და ბავშვების აღზრდისათვის. ქარელის რაიონში კი ამ მხრივ მრავალი საკითხი კვლავ მოუგვარებელია.

რაიონის 10 სოფელი ჯერ კიდევ ყოველგვარ საყოფაცხოვრებო მომსახურებას საერთოდ მოკლებულია.

სოფელ რუისში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა მეოთხე წელია მიმდინარეობს (მშენებლობას აწარმოებს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს № 3 სამშენებლო უბანი). უფრო საკმაოდ ცარიელია ის არის, რომ ეს ობიექტი ნიმუშია იმისა, თუ საერთოდ როგორ არ უნდა შენდებოდეს.

აბისის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი შარშან აშენდა და წლეულს უკვე კაპიტალური შეკეთება სჭირდება. სადაც არის კედლები ჩამოინგრევა. საყოფაცხოვრებო მომსახურეების 16 ობიექტიდან, რომლებიც ზემდგომი ორგანოების მითითებით რაიონში უნდა აშენებულიყო, ჯერჯერობით ეს ერთადერთია.

სესიაზე აღინიშნა, რომ ქარელის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამართველოს ხელმძღვანელებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა რაისაბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. თვითონ სამმართველოს უფროსს ნ. გოჩაშვილსა და სხვა ხელმძღვანელებს ოდნავადაც არ აღელვებთ სამმართველოში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა.

კომუნალური მომსახურების შესახებ სესიაზე მრავალი შენიშვნა და საყვედური გამოთქვა. მანამდე კი აღინიშნა, რომ რაისაბჭოს მეცხრე სესიის ჩატარებიდან შემდგომ პერიოდში რაიონში კომუნალური მომსახურების მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ქარელის კომუნალურ საწარმოთა კომბინატმა (დირექტორი ნ. ნოზაძე), შარშან 36 ათასი მანეთი მაინც იზარალა.

წყალზე და მის მნიშვნელობაზე დიდი მსჯელობა არ გამართულა. ის კი ითქვა, რომ ქარელის რაიონის წყალსადენების მდგომარეობა საკმაოდ მოუწესრიგებელია. სოფლის წყალსადენების გორის ტერიტორიული სამმართველოს მუშაკები ქარელის რაიონში ტურისტებივით ჩამოდიან ხოლმე და წყალსადენების წესრიგში მოყვანისათვის, მხი სრული ექსპლოატაციისა და გაფართოებისათვის ჩხირი არ გადაუბრუნებიათ. დიდი მსჯელობა იყო აგრეთვე რაიონში კანალიზაციის ქსელის მშენებლობის შესახებ. შესრულებული სამუშაოს ხარისხი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის ტექნიკურ პირობებს. ჭების მშენებლობა უიზოლაციოდ არის შესრულებული, ცუდია კანალიზაციის მილების ერთიმეორისთან შეერთების ხარისხი, რაც გრუნტის წყლების დაბინძურების რეალურ შესაძლებლობას ქმნის.

ქარელიდან კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მისწერეს, გაზისა და კანალიზაციის სამუშაოებმა დაბა ქარელის ქუჩები ერთიანად დაამახინჯა, რაიონსელ ცენტრში მოასფალტებული ქუჩები თითქმის აღარ არის და გთხოვთ 100 ტონა ბითუმი გამოგვიყოთო.

სესიის მონაწილეთათვის ცნობილი გახდა, რომ ისევ და ისევ ზემდგომ ორგანოებს დახმარებით, წლეულს ქარელის რაიონს 200 ტონა ბითუმი გამოუყვეს. სესიამ სამინისტროს, რაიონისთვის გამოყოფილი შარშანდელი და წლეანდელი ბითუმის რაოდენობის ერთად მიღება მოსთხოვა. ვიდაცამ დარბაზიდან იხუმრა, ეგ რაოდენობის ბითუმის მიღებამდე არაფერი ავეკეთოსო...

საერთოდ, რაიონში მეტად დიდი სიძნელეებია შექმნილი საგზაო მშენებლობის, კავშირგაბმულობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სფეროში.

სესიაზე აღინიშნა, რომ საგზაო მშენებლობაში ჩამორჩენა, ძირითადად, რაიონის საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის შედეგია, რომ ისინი გზების მშენებლობას ჯარიმის გადახდას არჩევენ. ამისათვის მათ შარშან 60 ათასი მანეთი გადაიხადეს, თუმცა ამან რაიონის გზებს დიდად არ უშველა. ახალსოფლისა და კეხიჯვრის საბჭოებში შემავალი რვა სოფელი მდინარე მტკვარსა და მის შესართავ ძამას შორის მდებარეობს და ამ სოფლების მცხოვრებნი რაიონულ ცენტრს ძამაზე ფონის გავლით ან მტკვარზე მოძრავი ბორნით უკავშირდებიან.

ხშირად საგრანსპორტო კავშირი ძალზე ძნელდება. ამას კი სერიოზული შეფერხება მოსდევს მოსახლეობის სამედიცინო, კულტურულ და სხვა მომსახურებაში. ისიც კი მოხდა, რომ ახალსოფლელი ლურსმანაშვილის სახლს ხანძარი გაუჩნდა და სახანძრო რაზმის მანქანამ უგზოობის გამო დანაშენლების ადგილამდე ვერ მიაღწია.

ქარელის მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის რაიონული საბჭოს მეცამეტე სესიაზე კამათის მონაწილეებმა მოსახლეობის კარგი ტონი მოსცა. მაგრამ ისინი კრიტიკასა და თვითკრიტიკას რატომღაც მოერიდნენ, სხვებს გაბედულ წაუყენეს პრეტენზიები, თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებებზე კი, იმაზე, თუ როგორ ასრულებდნენ ამობრჩევლების განაწესს, რა გააკეთეს ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების სფეროში არსებულ სიმახინჯეთა ლიკვიდაციისათვის, არაფერი უთქვამთ.

სესიის მსვლელობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებში აშკარად ჩანს, რომ რაიონის, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების, საათანადო სამინისტროების, უწყებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მოსახლეობის მომსახურების სფეროს გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. საჭიროა მათ მთელი ენერგიით იბრძოლონ და იშრომონ იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებები.

ამ წერილში ქარელის რაიონის მშრომელთა მომსახურების სფეროში არსებულ ყველა გაჭირვებაზე არ გვილაპარაკია, მაგრამ რაც ითქვა, მეტად დამაფიქრებელია და ყურადღებას სჭირდება, რომ უახლოეს მომავალში ქარელი რესპუბლიკის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ რაიონად გადაიქცეს.

**რ. ბასილაშვილი,**
„კომუნისტის" საქ. კორ.

# ᲙᲠᲔᲤᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲓ, ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲙᲘ...

**ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲘ** მეჩაიეებს „მწვანე ოქროს" უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო ტრადიციები აქვთ. წლეულს რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს მოკრეფონ და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარონ 14.550 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ეს გეგმას 2.378 ტონით სჭარბობს.

მაისის პირველი დღეებიდანვე დაიწყო პირობის შესრულებისათვის ლაშქრობა. დღეში 300-350 ტონა ფოთოლი იკრიფება.

საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულთა შორის არის ნიგოითის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ქ. ოგანეზოვი). აქ წლეულს მარშანდელთან შედარებით 12 ღღით ადრე შეუდგნენ ფოთლის კრეფას. ამ მეურნეობიდან ფაბრიკა ყოველდღე 38-40 ტონამდე ჩაის ნედლეულს იღებს.

ფოთლის კრეფის ტემპს ყოველდღიურად აძლიერებენ ეურის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. გოგუა). მეჩაიეთა პირობაა წელს გეგმა-ვალდებულებით მოკრიფონ 586 ტონა „მწვანე ოქრო", დაწინაურებულთა რიგებში არიან ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. ღლონტი), აცანის (თავმჯდომარე გ. ღლონტი), მამათის (თავმჯდომარე ბ. შეკვარდაძე), ლესის (თავმჯდომარე გ. ომნაძე), ჭანჭათის (თავმჯდომარე ი. კეკელიძე), ნიგვზიანის (თავმჯდომარე ვ. ომნაძე), ახალსოფლის (თავმჯდომარე ი. ჩხაიძე), შრომისუნის (თავმჯდომარე დ. მიქაბერიძე) კოლმეურნეობები და ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი დ. აფხაზავა).

ლანჩხუთის (წარმოების უფროსი პაპა გოგუაძე), ნიგვზიანის (დირექტორი რ. აფხაზავა) და აცანის (დირექტორი ნ. დობორჯგინიძე) ჩაის ფაბრიკების კოლექტივები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მოკრეფილი ფოთოლი დროზე მიიღონ და გადაამუშავონ. სეზონის დაწყებიდან რაიონში უკვე მოკრეფილია და გადამუშავდა 3.400 ტონაზე მეტი.

შრომითი მამაცობა გვიჩვენეს მამათის კოლმეურნეობიდან ნანული პაპეშვილმა, ნორა ალავერდოშვილმა, ანგელინა სამსონიამ; გულიანიდან — ნორა საროშვილმა, არჩეულიდან — ლეილა ტაბიძემ, ეურიდან — ნანა ბერელაშვილმა, ციური მოქიამ, ანგელინა შექვეტიშვილმა, ქვემოაქეთიდან — ეთერ ღლონტმა, ჭანჭათიდან — ლეანა ბეგლარაძემ, შრომისუნიდან — ეფეკუნა გურგენიძემ, აცანიდან — ლეანა ჩხაიძემ და ბეერმა სხვამ. რაიონში ათასზე მეტმა მეჩაიემ უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი ვალდებულება.

მოხეცავებული ფოთლის მიღებაში ზოგან შეფერხებაა, რაც იწვევს ნედლეულის ხარისხის გაუარესებას. ეს პირველ რიგში შეეხება სუფსის ფაბრიკას. აქ ფოთოლს ამბარებენ ახალსოფლის, ნიგზისუნის და ხორეთმოედნის კოლმეურნეობებში და ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობა. უკანასკნელ დღეებში ერთხელაც ვერ მოახერხეს ნედლეულის დროულად მიღება.

აი მაგალითები: ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობის ფრმეთის აგროგანყოფილებაში მოკრეფილი 1.670 კილოგრამი ფოთოლი, რომელიც ადგილზე ჩისეულ ფაბრიკის მიმღებ პუნქტის 16 მაისს დღის პირველ ნახევარში ჩაბარდა, მეორე დღეს, 17 მაისს დღის მეორე ნახევარშიც იქვე ეყარა. ამის გამო ფოთლის ნაწილი გადამწვარი იყო. უფრო მეტიც, პუნქტის გამგემ რ. კუპრაძემ ფაბრიკაში გასაზავნი ფოთლის რაოდენობა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში (№ 43992) აუწონავად ჩაწერა 1.800 კილოგრამი. მანქანის ზძღილმაც ასეთი წესით ფოთოლი ჩაბარა სუფსის ფაბრიკას. ეს ხომ აშკარა დანაშაულია.

ხორეთმოედნის კოლმეურნეობიდან ფაბრიკის პუნქტის გამგემ გ. გოგუაძემ (ზედნადები 474890) 16 მაისს დილით ნაკრეფი 1.255 კილოგრამი ფოთოლი გადასამუშავებლად 17 მაისს დღის მეორე ნახევარში მიიტანა სუფსის ფაბრიკაში, იქ კი ყველა აგრეგატი არ მუშაობდა. ამიტომ წინადღით მოსული მანქანები რიგში დგებენ, ფოთოლი კი იწვოდა, შემდეგ ნიგზიანის ფაბრიკის სოხოეეს მიეღო ნედლეული. ორ დღეს გზაში ფოთლის ტარებამ ხარისხის გაუარესება გამოიწვია, ნაწილი გადაიწვა და ჩაის ნედლეულის 50 პროცენტზე მეტი მეორე ხარისხისა გახდა.

ასეთივე ბედი ეწია შრომისუნელებსა და სხვა სოფლების ნედლეულს მოკრეფილ ფოთოლს.

ეს ხდება სუფსის ფაბრიკაში, აქ მოუმზადებელი შეხვდნენ ფოთლის კრეფის სეზონს. ამ საკითხზე „კომუნისტის" მიმდინარე წლის 25 აპრილის ნომერში დაიბეჭდა რედიის მასალა, რომ ფაბრიკა ახალი სეზონისათვის მოემზადებელი იყო, გააჩნდა მთელი ოდენ ნაკლოვანებები.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სამართლიანი კრიტიკიდან სათანადო დასკვნას გაკეთებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მართალია, ფაბრიკის სალეღლიმისო სამმართველოს გაზრდის მიზნით სუფსის ფაბრიკაში განიზრახეს დამატებითი მეოთხე საფიქსაციო აგრეგატის მოწყობა, (ამით შესაძლებლობა ექნებოდათ ღღეში მიეღოთ სულ ძეცირე 85-90 ტონა ფოთოლი). მაგრამ რა ფასი აქვს კარგ ჩანაფიქრს, თუ არ განხორციელდა? წესით ოქნინმოული აგრეგატი მზად უნდა ყოფილიყო ფოთლის გადამუშავების სეზონის დაწყებისათვის. ფაქტიურად კრეფის დაწყებიდან თვე ღღეზე მეტი გავიდა და აგრეგატი ჯერაც არ მუშაობს.

ფაბრიკის დირექტორმა ტ. წილოსანმა თავის მართლება დაიწყო და გვითხრა: აგრეგატის ექსპლოატაციაში გაშვება ჯერ შეუძლებელია, ვინაიდან საკალორიფერო დანადგარი გადასახურია. ეს სამუშაო უნდა „შეესულებინა მახარაძის მესამე სარემონტო სამშენებლო კანტორას (სამუშაოთა მწარმოებელი მ. წითლიძე), შარშან აპირებენ.

აქ დღემდე ვერც პაერსადენი მიღების ოზოლაცია მოუწყვიათ. ამასაც ხომ სხვას ვერ დაიბრალებენ, ეს ხომ უშუალოდ ადგილზე ფაბრიკის ხელმძღვანელობას უნდა გაეკეთებინა?

პლატაციების კარგი მოვლით ყველგან უხვად არის საკრეფი ფოთოლი. ახლა მთავარია უზრუნველყოთ ნედლეულის დროულად მიღება და გადამუშავება.

**შ. ᲮᲘᲜᲩᲣᲐ,**
**გ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.**
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები.

### სუფსის ჩაის ფაბრიკა ნედლეულის მიღება-გადამუშავებისათვის კვლავ მოუმზადებელია

ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲛᲘᲗᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ

## სოციალისტურ ქვეყნებში

### კოლონეთი

## მსოფლიოს 40 ქვეყანაში

„სტალე

# სახელოვანი მამულიშვილი



**მემედ აბაშიძის დაბადების 90-100 წლისთავის გამო**

„თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვევულთა შორის იდუმალი შემსქვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევს, რომ სამყოფნა ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იეკქოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულებამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს“, — ასე წერდა ილია ჭავჭავაძე თავის წინასიახალწლო მიმოხილვაში, ჯერ კიდევ ისმალთა ბატონობის უღელქვეშ მყოფი აჯარის და მთლიანი საქართველოს შესახებ.

დიახ, სწორედ „იდუმალი შემსქვალება“ იყო ის ძალა, რომელიც არჩენდა ერს მრავალ ქარტეხილისაგან. ყოველი ქართველი სათუთად ინახავდა გულში ამ „შემსქვალებას“, მონრეხებულ დროს უცდიდა თითქოსდა მიძინებული ერთსულოვნებისა და ერთგულების გასაძღვნებლად.

დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარების შედეგად აჯარის დედასამშობლოსთან შეერთების აღსანიშნავად თბილისში გამართულ ნადიმზე 1878 წელს გრიგოლ ორბელიანი მიმართავდა იქ მყოფ აჯარლებს: „თვალი გვეჭირა თქვენკენ... და გნატრობდით, როდის ამოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა“. ეს მზე ამოვიდა. მის ამოსვლას საქართველოში ყველგან ელოდნენ, ყველა სოფელში, ყველა ოჯახში.

ერთ-ერთ ასეთ ოჯახში დაბადა 1873 წელს მემედ აბაშიძე, მხურვალე პატრიოტი, ერის გამოლიანებისათვის თავდადებული მებრძოლი. ეს ერთგულება მას მამა-პაპათაგან მოსდგამდა. დიახ, იყო ერთი დიდი სალოცავი: საქართველო, ქართველობა, სწორედ ეს ლოცვა ჰქონდათ დაწერილი გულის ფიცარზე, სწორედ ამ საგალობლით იბრძოდნენ და ამარჯვებდნენ.

დიდი იყო რწმენა საქართველოსთან აჯარის კვლავ შეერთებისა. საამისოდ, როგორც ილია ბრძანებდა, შემთხვევას ელოდნენ. ასეთი დღეც დადგა, მაგრამ ხანგრძლივ კერძებას, დედა-სამშობლოსადან დიდი ხნით ჩამოშორებას არ შეიძლებოდა რაღაც კვალი არ დაემჩნია მოსახლეობისათვის. საჭირო იყო გზების, საშუალებების ძებნა იარეების მოსაშუშებლად.

ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად მოწონავი ქართველობა სწავლა-განათლებას მიიჩნევდა. ჯერ კიდევ შეერთებამდე, თბილისში მყოფი შერით ხიმშიაშვილი ასე ავედრებდა აჯარას ერის მედროშეთ: „განათლებაი ეჭირება, ბატონებო, ამდ... შკოლა გამართეთ, ასწავლეთ“. ასეთი სკოლა კიდევაც გაიხსნა ბათუმში 1881 წელს. ამ სკოლაში მიიღო განათლება შემდ აბაშიძემ. ოთხგანყოფილებიანი სკოლა, თითქოსდა არ უნდა ყოფილიყო საკმაო იმ თვალშეუდგამი საქმიანობისათვის, რაც ამ პატრიოტმა გასწია, მაგრამ თვით ცხოვრებამ, ტატან ადამიანებთან ურთიერთობამ ნათელი მიზნისაკენ დაუოკებელმა სწრაფვამ არა მარტო შეაძლებინა ყოველივე ეს, არამედ თავისი დროის ერთ-ერთ განათლებულ ადამიანადაც აქცია.

თუ გავითვალისწინებთ აჯარის ისტორიის შემოერთებამდელ და შემდგომ პერიოდს, დარწმუნდებით, რომ სწორედ მაშინ ესჭიროებოდა მას წინამძღოლი და მოძღვარი. ასეთი ისტორიული მისია კი ჯერ კიდევ აბალგაზრდა მემედ აბაშიძეს დაეკისრა და მან ბრწყინვალედაც შეასრულა იგი.

საზოგადოებრივი საქმიანობა მ. აბაშიძემ პედაგოგიური მოღვაწეობით დაიწყო ამავე სკოლაში, რომელიც თვითონ დაამთავრა. სკოლა მან მოსწავლეთა შორის ეროვნული თვითმეგობრების გასაღვივებლად გამოიყენა. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საღვთო სჯულის ქართულად სწავლებას მოითხოვდა.

1899 წლიდან მ. აბაშიძე თბილისშია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს უახლოვდება. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვალერიან გუნდასთან.

ჩემს წინაშე, — წერდა იგი მოგვიანებით „ავტობიოგრაფიაში“, — როგორც ქართველი ინტელიგენტის წინაშე, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმენდა პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური ხასიათის საკითხები (როგორც სამუსლიმანო, ისე საქრისტიანო საქართველოს შესახებ). ურყევად დაედგა საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი ომრაში მომიგერებია.

მებრძოლი პატრიოტი, ცხადია, თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს: ყოველნაირად თანამრომლობდა მათთან. ამიტომ მეფის ხელისუფლებამ არაკეთილსაიმედო პირად შერაცხა.

1905 წლის რევოლუციის დასაწყისში მ. აბაშიძე ბათუმის ნავსადგურის მუშათა სახალხო მოსამართლედ აირჩიეს. ამ მოვალეობის შესრულების დროს იგი არჩევდა წამოჭრილ სადავო საკითხებს.

1921 წლის მარტში, როცა თბილისიდან გამოქცეული შენშევიკური მთავრობა ქუთაისში თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, აჯარაში თურქეთის ელდგაცია ჩამოვიდა, რათა მეჯლისს მოლაპარაკებოდა ჩვენი კუთხის თურქეთთან შეერთების თაობაზე. ოფიციალურ შემადგენლობაც არ იყო ერთგვაროვანი. ასეთ სუტუაციაში მემედ აბაშიძემ, როგორც თავჯდომარემ, მოახერხა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა. ამით მეჯლისმა ისტორიული ნაბიჯი გადადგა, ძალიან რთულ პირობებში შეძლო დაცვა სამშობლოს ინტერესები.

განსაკუთრებით სრულად გამოამჟღავნა მ. აბაშიძემ თავისი პუბლიცისტური შეხედულებები მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“, რომელიც განუხრელად იბრძოდა ქართველი ერის ერთიანობისათვის.

სახელოვანმა მოღვაწემ საშვილიშვილო საქმეების მოგვარებასთან ერთად თარგმნა ნ. ჭემალის „სილისტრია“ („სამშობლოს“ სახელწოდებით), ომარ ხაიამის რობაიები. თურქულ ენაზე კი — ს. შანშიაშვილის „ანზორი“. ამავე ენაზე შეიდგა „ეფეზისტყაოსნის“ თარგმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასრულდა მისი დამთავრება.

დიახ, არ დარჩენილა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი უბანი, სადაც ამაგდარ მამულიშვილს არ დაუტოვებინოს თავისი კვალი, არ ეთქვას თავისი მართალი სიტყვა. ამის გაკეთება მას რთულ და უმძიმეს პირობებში ეხდებოდა.

მადლიერი ქართველი ერი სიყვარულით აღნიშნავს მგზნებარე პატრიოტის დაბადების მეასე წლისთავს და სათუთად ინახავს მის ნათელ სახელს.

**ა. ახვლედიანი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**ქ. ბათუმი.**

## ზოფრეგის ნახევარი მილიონი

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ქუჩაში გამოჩნდა ხუთვარსკვლავიანი ტაქსი „ვოლგა“ (სახელმწიფო ნომერი 29-32), რომელსაც მერვე წელია მართავენ სამამული ომის მონაწილე, მეორე კლასის ვეტერანი მძღოლი გ. ქასარაშვილი და მისი შემცვლელი ჯ. მურუსიძე.

მანქანის ეკიპაჟმა თავი გამოიჩინა ხანგრძლივი და უანარო მუშაობით, მგზავრთა კულტურული მომსახურებით. ტაქსიმ გაიარა 500.000 კილომეტრზე მეტი, ისე, რომ კაპიტალური რემონტი არ დასჭირვებია. მძღოლები გულმოდგინედ უვლიან ავტომანქანას, იგი ერთხელაც არ გამოსულა მწყობრიდან. მარტო ამ გზით დაზოგილ იქნა ორი ძრავი, კვანძური აგრეგატები და დიდძალი სათადარიგო ნაწილები, რომელთა საერთო ღირებულება 2.356 მანეთს შეადგენს.

## ტოკიოში — გამოფენაზე

ორიოდე წლის წინათ მოსკოვის საექსპორტო სალონში ცნობილმა იაპონელმა ხელოვნებათმცოდნე ნაკამურამ დაათვალიერა საბჭოთა მხატვრების ფერწერულ ნამუშევართა გამოფენა. მისი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა ტილომ, რომელსაც „ძველი თბილისი“ ჰქვია. რამდენიმე ხნის შემდეგ კი თბილისში, მხატვარმა ჯემალ ხუციშვილმა სამხატვრო საექსპორტო სალონის დირექტორის მ. ბუკოლეევას წერილი მიიღო, რომელიც იტყობინებოდა, რომ იაპონელები ქართველი მხატვრის ნამუშევრებით დაინტერესებულან.

ამის შემდეგ მოსკოვში გამოფენილი ნახატებიდან შვიდი ნიმუში იაპონელებს შეუძენიათ, რამდენიმეც — ფრანგებს. აღსანიშნავია, რომ ტოკიოს ცნობილ გალერეა „გეკოხოში“ საბჭოთა მხატვართა ნამუშევრების გვერდით ხელოვნ. ქართველო წარმოდგენილი იყო ჯ. ხუციშვილის ნახატებით.

ტოკიოში გამოფენილი ქართველი მხატვრის ყველა ნახატი გაიყიდა. მათ შორის — „ხევსური გოგონა“, „ალეთი“, „ხუფრაგ გაშლილო“, „ხევსური მიდამო“... ხულ ახლახან საქართველოს მხატვართა კავშირში იაპონიიდან გამოგზავნილი ალბომი-კატალოგი მოვიდა, რომელშიც ჯ. ხუციშვილის ხუთი ნახატია დაბეჭდილი.

**ზ. რცხილაძე.**

ზემოთ: ზემოთ მარცხნივ — ხევსური გოგონა, მარჯვნივ — ხევსური მიდამო, ქვემოთ — ეაზი, ფეიერვერკი ნაზარდი.

## გმირთა უკვდავყოფა

**გაიხსნა საბჭოთა კავშირის გმირის გ. ი. ბერუაშვილის ძეგლი**

ცხინვალი. (საქინფორმის კორ.). უამრავი ხალხი შეიკრიბა ერედვის საშუალო სკოლის შენობასთან. აქ მოვიდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ცხინვალის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი ივანეს-ძე ბერუაშვილის თანასოფლელები, რათა პატივი ეცათ დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირების ხსოვნისათვის.

საბჭოთა კავშირის გმირის გ. ი. ბერუაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა ერედვის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. მჭედლიძემ. მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი გ. ი. ბერუაშვილისა და ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპული სხვა მეომრების ხსოვნას.

გ. ი. ბერუაშვილის ცხოვრებასა და გმირობაზე შეკრებილთ ესაუბრა სახელოვან თანამოფლელის ბავშვობის მეგობარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ბერუაშვილი. მოგონებები გ. ი. ბერუაშვილისა და სხვა ერედველ შინმოუსვლელთა შესახებ დამსწრეთ ვაუბიარეს ჟურნალისტმა დ. მაისურაძემ, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა მ. ცოტნაშვილმა, ბერულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ ო. ცოტნაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. ლაკაბიძემ, შრომის ვეტერანმა ი. ქოსტესიაშვილმა, პოეტმა ვ. კობერიძემ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მამაცურად უბრძოდა მტერს 600-ზე მეტი ერედველი. მათგან 158 დაიღუპა ბრძოლის ველზე სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

პიონერებმა და მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს საბჭოთა კავშირის გმირის გ. ი. ბერუაშვილის ძეგლი.

**ბუნების საოცრებანი**

## ბერლიპითი ჭაბური

**საქართველოში** უდიდესი ხე—ჭადარი თელავში ბარობს, პატარა გორაზე, საიდანაც მოჩანს თვალწარმტაცი ალაზნის ველი. ჭადარი სულ ცოტა 800 წლისაა.

როგორც ხალხი ამბობს, აქ ბუობდნენ ხოლმე კახთა უხუცესნი, აქედან მიდიოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოლაშქრენი.

ხე სიმაღლით ათხართულიანი ხახლის ოდენაა, ტანის გარშემოწერილობა თითქმის რვა მეტრია. მისი უზარმაზარი ვარჯი შორიდან ხეთა ჯგუფს მოგვაგონებს.

რამდენიმე ასეული წელია გოლიათი ჭადარი ებრძვის სტიქიის დარტყმებს. და ხომ გაუძლო კიდეც! მაგრამ ეს ბოლო წლებია ხეს ტოტები უმძიმება. ჭადრის ბედმა ბუნების მეგობრები შეაშფოთა. მათ მოაჭრეს ხეს გამხმარი ტოტები და გაშიშვლებული ადგილები გამძლე ხალებავით დაუფარეს. შემდეგ გაადაწყვიტეს ფუღურო ბეტონით „დაეპლომბათ“. მაგრამ დაეჭვდნენ: გაუძლებს თუ არა ჭადარი ასეთ დატვირთვას? ადგნენ და, ბეტონი მხოლოდ ჯველზე სუსტ ნაწილებში ჩაასხეს...

თითქოს გაახალგაზრდავდა ეს ბერი ჭადარი — თელაველთა ხალმაუე — მწვანედ ახასხასდა, ახალი ყლორტებიც გამოიტანა. თელაველები ზრუნვას არ აკლებენ ბუნების ამ ძეგლს.

(საქინფორმი).

## ნაკრების სერიოზული განაცხადი

კიევი, 19 მაისი. (საკუთარი კორ.). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა თავისი ჩინებული თამაშით კვირას ევროპის ჩემპიონატის მატჩში ირლანდიის გუნდთან გვიჩვენა, რომ კიევის რუსუბლიკურ სტადიონზე სტუმრების დამარცხების შემდეგ — 2:1 (2:0) მათ ნამდვილად შეუძლიათ პირველი ადგილი დაიკავონ მეექვსე შესარჩევ ჯგუფში, სადაც ასევე თამაშობენ შვეიცარიისა და თურქეთის ნაკრები გუნდები. ჩვენს ფეხბურთელებს სათამაშო დარჩა კიდევ სამი მატჩი: ორი შვეიცარიელ ფეხბურთელებთან და ერთიც — თურქეთის ნაკრებ გუნდთან.

ამ მატჩში მასპინძლებმა ირლანდიელებს მაშინვე თავს მოახვიეს თამაშის საკუთარი მანერა. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ნახევარმცველებს ბურიაკს, კოლოტოვს. განსაკუთრებით ვერემეევს ერთი ფლანგიდან მეორე ფლანგზე გრძელი დიაგონალური გადაცემებით წინ გაყავდათ ირლანდიელი. ამ ბოლოს ინიშნეს, ბლოხინი და მარცხენა მცველი მატვეიენკოც.

სტუმართა დაცვას აბნევდა თავისი მოულოდნელი რეიდებით მცველი ფომენკო, რომელსაც ძლიერი დარტყმა აქვს. ამ დროს მის ადგილს დაცვაში იკავებდა. ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის კაპიტანი კოლოტოვი. ასეთი ურთიერთშეკვრა დამახასიათებელი იყო მასპინძლებისათვის. თუ წინ მიდიოდა ტრიმკინი, შაშინ დაცვაში რჩებოდა ბურიაკი, ხოლო თუ ვერემეევი უტრიდა, დაცვის მოთამაშეებს ეშმარეობდა თავდამსხმელი ინიშნეენი. ირლანდიის ნაკრები გუნდის ფეხბურთელები, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, აშკარად დაიბნენ. ამის მიზეზი ეს ჩვენი ფეხბურთელების ტაქტი. ასეთი კარგი თამაშის ფონზეც კი გამოირჩეოდა ვერემეევი. ამ დღეს იგი იყო თავისუფალი ნახევარმცველი და ჩინებულად დირიჟორობდა თავისი გუნდის მოქმედებას. ორივე ბურთი, რომლებიც გიატანეს ბლოხინმა (მე-13 წუთი) და კოლოტოვმა (29-ე წუთი) მან ჩააწოდა.

მეორე ტაიმში თამაშის ხასიათი რამდენადმე შეიცვალა. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთელები ძირითადად იყენებდნენ კონტრშეტევებს და კიდევ ბევრი მომენტი ჰქონდათ ბურთის გატანისათვის, მაგრამ მეტხსმეტად ჩქარობდნენ. ირლანდიელებმა მოახერხეს ერთი ბურთის გაქვითვა. ეს 79-ე წუთზე შეძლო ჰენდმა.

მატჩის წინ სტუმართა გუნდის კაპიტანმა ჯილსმა განაცხადა, ჩემი გუნდი ასე კარგად არასოდეს ყოფილა მოშზადებული და მხოლოდ ბამარჯვებისათვის იბრძოლებსო. ასე რომ სტუმრები აშკარად მოგებას აპირებდნენ. მაგრამ გამარჯვების უფრო მეტი რწმენა ჰქონდათ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებს. ამიტომ მით უფრო სასიამოვნოა ეს გამარჯვება, რომ იგი მოპოვებულია ძლიერ მეტოქესთან — ირლანდიის ნაკრებ გუნდთან, რომელშიც გამოდიოდნენ პროფესიული მოთამაშეები ინგლისის ისეთი ცნობილი კლუბებიდან, როგორიც არის „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ლივერპული“, „ტოტენჰემი“, „ბლეკბერნი“, და სხვები.



## ჩემპიონები სამგოში

რუსთავში სამ დღეს გრძელდებოდა სამბისტთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით იყო გათვალისწინებული.

სტარტზე 11 გუნდი გამოვიდა. აქ თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და წარმატებაც მათ ხელთ (54 ქულა).

სასპორტო საზოგადოებათა კოლექტივებს შორის სამეულში მოხვდნენ არმიის სასპორტო კლუბის, „ზენითისა“ და „დინამოს“ გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ბენიამინ ფეიგინი. ვაჟთა შორის ყველას ოჯახი სპორტის ოსტატმა ვ. მანუკიანმა.

ვ. მანუკიანს წარმატება ხვდა ხელ. ვერემეევ მოტოციკლეტში 250 კუბური სანტიმეტრის ძრავიანი მანქანებით. და ბოლოს 350 კუბური სანტიმეტრის ძრავიანი მანქანებით ასპარეზობაში პირველობა მოიპოვა ი. ტერეშჩენკომ (თბილისი, სკა).

## სპარტაკიადის პროგრამით

შაბათსა და კვირას საქართველოს დოსაფის ცენტრალურ სასპორტო ბაზაზე გაიმართა სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მოტოციკლეტებში.

175 კუბური სანტიმეტრის ძრავიანი მანქანებით ასპარეზობაში იუნიორთა შორის უძლიერესი იყო რუსთავის გუნდის წარმომადგენელი ნ. ჩვეულებრივ, 20.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ — ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძიოსსპირული“, 21.10 —ა. მაჭავარიანი, ს. ცინცაძე—კამერული ნაწარმოებები 22.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მ. შოლოხოვი, 23.30 — შ. გუნო. ნაწყვეტები ოპერა „ფაუსტიდან“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

**ოლიმპიადა**

# ორი „ოქრო“, ორი „ვერცხლი“

კმირას ირევანში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ეუნიორთა შორის. ხალიჩაზე 200-მდე ფალავანი გამოვიდა.

მსუბუქ წონიის კატეგორიაში საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი რაიდი აბრამიშვილი („დინამო“) მეორედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. შარშან იგი ვოროშილოვგრადში პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. რ. აბრამიშვილის მწვრთნელია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ მალსურაძე.

ქვემსუბუქ წონიის კატეგორიაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ედიშერ მაჩაიძემ („დინამო“) ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ფინალში მცირე უპირატესობით წააგო ორთაბრძოლა სურენ ნალბანდიანთან.

პირველ საშუალო წონაში ოქროს მედალი მოიპოვა ვ. მაისურაძის მეორე აღსაზრდელმაც — თბილისელმა არმიელმა მალხაზ ლეკვაკამ.

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა იუნიორთა შორის, სოხუმელმა დინამოელმა აირატენ მინასიანმა (მეორე საშუალო წონა) ფინალში წაგო კიეველ პეტრე ლოსთან და მეორე სპარიზო ადგილზე გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ოთხივე ფალავანი საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში შეიყვანეს: ისინი ივლისში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს პირველობაში ბულგარეთის ქალაქ ვარნაში.

**ო. კუსიანი,**
**სპორტის ოსტატი**

**კალათბურთი**

# თბილისელთა გამარჯვება

**ეინბურგი.** ქალაქ პარდუბიცეში დამთავრდა ევროპელი დამპყრობლებისაგან საბჭოთა არმიის მიერ ქვეყნის განთავისუფლების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში.

სპარტაკ ბრნოსათვის იბრძოდნენ სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“, ვროცლავის „გვარდია“, პარდუბიცის „რუდე გვეზდა“ ბულგარეთის „დინამო“, ბრალის „სლავია“ და თბილისის „დინამო“.

შეჯიბრების დასკვნითი ღილაოვის მხოლოდ ორი გუნდი მივიდა დაუმარცხებლად — პრაღის „სლავია“ და თბილისის „დინამო“. და აი ეს ორი კოლექტივი ერთმანეთს შეხვდა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში. ანგარიშით 71:68 გამარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა, რომლებსაც გადაეცათ ტურნირის მთავარი პრიზი. აღსანიშნავია, რომ დინამოელთა რიგებში არ თამაშობდა გუნდის ლიდერი მ. ქორქია, რომელიც საკავშირო ნაკრებშია მიწვეული.

**ჩოგბურთი**

# თასი თბილისში გამოემგზავრა

**საქართველო** ვაჟთა ნაკრებმა საკავშირო თასის ნახევარფინალში დამარცხა მოსკოვის ჩოგბურთელები და ფინალში გავიდა, სადაც უკრაინის გუნდს შეხვდა.

გადამწყვეტი ასპარეზობა, რომელიც დონეცკში სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ სპორტის სასახლეში გაიმართა კვირას, დამთავრდა ქართველ ჩოგბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2. ჩვენს გუნდში გამოდიოდნენ ა. მეტრეველი, თ. კაკულია, ვ. ბერეგუდოვი და გ. ელერდაშვილი. თასი თბილისში გამოემგზავრა. ამ წარმატებაში გადამწყვეტი წვლილი შეუძლია ჩვენს სახელოვან ოსტატებს მეტრეველსა და კაკულიას.

ასეთივე ანგარიშით მოსკოვის ქალთა გუნდმა ფინალში სძლია უკრაინის ნაკრებს და თასი მოიპოვა. საქართველოს ქალთა კოლექტივი მეშვიდე ადგილზე გამოვიდა.

ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ესტონეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

# „ფინალის გამეორება“

მაინის ფრანკფურტში, „ვოლდ შტადიონზე“ გაიმართა გფრ-ისა და ჰოლანდიის ნაკრებთა მატჩი ფეხბურთში, რომელიც დასავლეთგერმანული ფეხბურთის ფედერაციის იუბილეს მიეძღვნა. ეს იყო „მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის გამეორება“, როგორც მას ჟურნალისტებმა უწოდეს, თუმცა გუნდებში არ გამოდიოდა მიუსხეენის ფინალის ექვსი-ექვსი მოთამაშე — მიულერი, ბრაიტნერი, ნეტცერი, კრუიფი, ნეესკენსი და სხვა. თამაშის მე-7 წუთზე ვიმერმა (გფრ) გახსნა ანგარიში, რომელიც 56-ე წუთზე გაქვითა ვან ხანეგემმა. 1:1 — ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.


**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**



**ტელევიზია**

*20 მაისი*

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია. — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ა. კორნეიჩუკი — ფილმი-სპექტაკლი „ხსოვნა გულისა“. ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამოცდა“. 16.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.00 — მხსიერ მოლოხოვის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“, 19.50 — გადაცემა „ცეცხლთან პირისპირ“, 20.15 — „ხალხური ისტორიის ოსტატები“ — ვ. ხამონიშვილი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „კანონი და კანონიერება, 21.40 — „ჯარისკაცის სახლი“ (11 მაისის გადაცემის გაგრძელება), 22.00 — „ეროვნია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.30 — „თეატრალური პანორამა“. დასასრულ — სპორტული მიმოხილვა.

**მეორე პროგრამით**

18.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა, 18.30 — სატელევიზიო ფილმი „ცივი და მოშნიბლავი ტბა“, 18.45 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა, 19.30 — სატელევიზიო ფილმი „მწამს მიწისა“, 19.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.50 — განცხადებები, 20.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტალას ბლონდა“ (II სერია).

**რადიო**

*21 მაისი*

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რუსუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნაწყვეტები ქართული ოპერეტებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. გლაზუნოვი. საფორტეპიანო კონცერტი, 11.45 — „პოეტი ქალები ჩვენს სტუდიაში“ — მ. ჯახოძე, 12.10 — ახალგაზრდობისათვის. საუბარი „როცა ახალგაზრდა გზას ირჩევს“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მიწინავე სტატია, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციციანთელა“, 18.10—ს. ნასაძე. კამერული სიმფონია, 18.45 — რ. გლიერი. სიმფონიური მუსიკა, 19.00 — საუბარი „კომუნისტური მორალი იმარჯვებს მის ანტიპოდებთან ბრძოლაში“, 19.15 — მეორის ლ. გეგელია, 19.45 — ოსური სიმღერები, 20.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ — ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძიოსსპირული“, 21.10 —ა. მაჭავარიანი, ს. ცინცაძე—კამერული ნაწარმოებები 22.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მ. შოლოხოვი, 23.30 — შ. გუნო. ნაწყვეტები ოპერა „ფაუსტიდან“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

**თეატრები**

*20 მაისი*

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ოდესელები; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯაბაზი მიდის ლენინგრადს.

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია**

**აცხადებს მიღებას ახლად შექმნილ „ხალხური მუსიკის სახელმწიფო ანსამბლში“.**

ჩაირიცხებიან ხალხურ ინსტრუმენტებზე დამკვრელები, მომღერალი ვაჟები, მოცეკვავე ქალები და ვაჟები.

**დაწვრილებითი ცნობებისა და განცხადებების მიღება — 30 მაისამდე ფილარმონიის სამმართველოს კანცელარიაში, მისამართი: მელიქიშვილის ქ. № 1.**

**ქ. თბილისში, გორგასალის ქ. № 42-ში (ორთაჭალა) გაიხსნა ქ. მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტომაქარხნის „მოსკვიჩის“ საბარანტიო შემკეთებელი კუნძტი,**

**რომელიც აწარმოებს ავტომობილების ყოველგვარი წუნის გასწორებას საგარანტიო ვადაში.**



**კომუნისტი** 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებიან—99-93-03, 99-02-09 პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 99-22-93, მრეწველობის — 98-28-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

**КОМУНИСТИ** ИНДЕКС 66443 УЗ 02701

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 24